



დავით აღმაშენებლის გამზ. N79
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

**სსიპ საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტო**

18 / სექტემბერი / 2024 წ.

№ 17/3422



სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,
ბატონ ირაკლი ჩიქრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 16 სექტემბრის № 6/53327 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა ზეგანში, 1-ლი ქუჩაზე, N25-ში მდებარე 648.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 30.15.37.348) განკარგვის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 30.15.37.348 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „ნაეკლესიარი“ (გის #10216) (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30/03/2006 #3/133 ბრძანება) ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა ზეგანში, 1-ლი ქუჩაზე, N25-ში მდებარე 648.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 30.15.37.348) განკარგვის შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული რეჟიმი. ხოლო უძრავი ქონების შემდგომში განვითარების, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, საჭიროა ნებისმიერი ქმედება შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

